

თბილისი 1942 წ. გ. 14
№ 60



№ 14, თბილისი, 1942 წ. აპრილი. გამოსვლის წელი XIX. გამომცემლობა „კომუნისტი“. ფასი 50 კაპ.

ქრონული
ბიულეტენი

ს ი ა ნ ბ ი



ნახ. გ. ლომიძისა

სნობილი „უცნობი“


შეეცის ქალაქი საბარანდა პროვინციული მიზნით დაბომა თვითმფრინავმა, რომელსაც ღერძის სა-
ხელმწიფოების პრესა „უცნობი ეროვნების თვითმფრინავს“ უწოდებს.

გაზეთებიდან

ცნობილი ყაჩაღის „უცნობი“ ოინი, რომლის გამდაცნობად ელემენტარული ცნობიერება სრულიად საკმარისია

„პიტლერულ ჟურნალ „დეიტში კინოლოგენ ცეიტუნგში“ და-
იბეჭდა სტატიები, რომელშიაც მოუწოდებენ დაიცვან ძაღლები,
რომელთაც გერმანიაში ხორცის ნაკლებობის გამო ახადგურებენ.“
გ ა ზ ე თ ე ბ ი დ ა ნ

ნან. ს. ნადარეიშვილისა



— გაიგე შანს, თურმე ძაღლების დაკვლას კრძალავენ? რაღა მეშველება, რითი უნდა ვიკვებო? მე ხომ უცხიმილ ცხოვრება არ შემოიძლია?
— ნუ დარღობ, ჩემო ამალია! ძაღლების დაკვლას თუ აკრძალავენ, კატებს გიშოვნი!

გ ა უ ჯ ი რ ო ვ ნ ე ბ ა

გერმანიის შეიარაღებული ძალების მთავარ შტაბის სხდომის დარბაზში „ფიურერის“ მოსვლას ელოდებოდნენ.

უკანასკნელ ხანებში „ფიურერი“ შტაბის სხდომებს მხოლოდ შტაბის შენობაში ატარებდა, რაც გამოწვეული იყო იმ მოსაზრებით, რომ მას სამხედრო უმაღლეს პირებზე ერთნაირი „მოწყალება“ მიეღო, თავმდაბლობა გამოეჩინა და მით გენერლების „გული მოეგო“, რომლებსაც მისი მთავარსარდალად დანიშვნა სასაცილოდ არ ყოფნიდათ.

გენერლებს თავი დაეხარათ და ცხვირები ჩამოეშვათ. მათ სახეებზე შიში გამოკრთოდა. ასე გვეგონებოდათ სავარძლებში გენერლების ფიტულები ჩაულაგებიათო. ზოგი მათგანი შემოსასვლელ კარებს მიშტერებოდა, ზოგიერთები კი ასე საყვედურობდნენ:

- ნეტა მანაც ვიცოდეთ, ასეთი რა ჩავიდინეთ?
- ნეტა რა დავაშავეთ?
- ნეტა რას თხოულობს ფიურერი ჩვენგან?

ყველას კი წარმოდგენილი ჰქონდა საშინელი სურათი, წინა დამის სხდომისა, რომელზედაც ფიურერი დასაბმელ გიჟივით ღრიალებდა:

— „განა ეს არის თქვენი ჩემდამი ერთგულება? ნუთუ არ იცით კატასტროფის წინაშე ვლავებართ? მერე იცით, რა მოგეწიოთ თქვენ?“

ობის წინაშე, დაიწყო ყვირილი, ფეხების ბრაზუნით, სამეღნეს ხელი დასტაცა, სობრაზისაგან შუბლის ძარღვები სისხლით დაებერა, ხმა ყელში გაეჩხირა და ზრიალებდა, გულში რამდენჯერმე მუშტი დაირტყა და აქვითინდა. ცოტახნის შემდეგ, თითქოს დამშვიდდაო, ასეთი სიტყვებით მიმართა მათ:

- თქვე ძაღლის შვილებო თქვენა, რა გვინათ, შეიძლება თუ არა სამხედრო საქმეში თქვენზე მეტი ეფრეიტორმა იცოდეს?
- შეიძლება, თქვენო უმაღლესობავ, შეიძლება. — ერთხმად გაისმა დარბაზში.

— თქვე ტუტუცებო, თქვენა, შეიძლება თუ არა ეფრეიტორი გენოსი იყოს და ცენერალი კი უბრალო ჩვარი?

— დიახ, დიახ, თქვენო უმაღლესობავ, შეიძლება! — ერთხმად დაუდასტურეს გენერლებმა.

ამით დასრულდა წინდამის სხდომა, რომლის გაგრძელება „ფიურერმა“ დღეისთვის დანიშნა.

— ალბათ ფიურერს წითელი არმია არ ასვენებს და ავიყებს. — ჩუმად ჩაულაპარაკა თავმოტვლებილმა გენერალმა გვერდით მჯდომ გენერალს, რომელსაც ჭერისათვის თვალები მიეპყრო.

— რა თქმა უნდა, წითლები ავიყებენ მას, თუმცა ვაი ჩვენს გაჩენას, განა მას მეტი ვავიყება სჭირდება?!

დარბაზის კუთხეში ორი გენერალი კი სა-

პიტლერის „ახალი წესების“ ვატარების შესახებ.

— იმ ფრანგ პატრიოტებს, რომლებიც ჩვენებმა დასაჯეს, დეკლარაცია განმარტდათ, რომელიც ასე თავდება თურმე:

„ამხანაგებო, რომლებიც ცოცხლები რჩებით, იყავით მედგარნი და შეუპოვარნი: იბრძოლეთ თავისუფალ საფრანგეთისა და ბრწყინვალე ბედნიერი მომავლისათვის“...

სამხრეთ სლავიაში პარტიზანულ მოძრაობაში მონაწილეობას იღებენ თურმე ასი ათასი სერბიელები, ჩერნოგორელები, ხორვატები, სლოვაკები...

ნორვეგიაში პატრიოტები მიმართავენ ხალხს, რომ არაფერი მისცენ გერმანელებს: „უმჯობესია ცეცხლს მივცეთ ყველაფერი, ვინემ გერმანელ ყაჩაღებსო“.

ჩეხოსლოვაკიაში მუშები საბოტაჟს მიმართავენ, მათი ლოზუნგია: „ჩვენს მიერ გამომუშავებული პროდუქტია უნდა იყოს მსოფლიოში ყველაზე უფრო ცუდი“.

აი რა აწუხებს ალბათ ჩვენს დიქტატორს. — მერე, ჩვენი რა ბრალია? ჩვენ რა დავაშავეთ?

ამ დროს კარები გაიღო და მისაღებ ოთახიდან ბოხი ხმა შემოიჭრა:

— ფიურერი მობრძანდება!

დარბაზი შეინძრა. გენერლები ფეხზე წამოიჭრნენ და გაფიფრებული სახეებით კარებს მიატყურდნენ. იგი, ვით ქარი, შემოვარდა დარბაზში და საწერ მაგიდასთან მიიჭრა, მარჯვენა ხელის აწევ-დაწვეით ანიშნა მათ, რომ დასხდარიყვნენ. ყველანი თავიანთ სავარძლებში ჩაეშვენენ. „ფიურერმა“ თვალი მოავლო დარბაზს და კედელზე ჩამოკიდებულ მის ორ პორტრეტს მიაჩერდა, შუბლი შეიჭმუხნა.

— ხა, ხა, ხა, — დემონიურად გადიხარხარა მან.

ყველანი გაოცდნენ.

— ორი ჩემი პორტრეტი. ალბათ ერთი რეიხსკანცლერი გახლავთ, მეორე კი მთავარსარდალი...

— დიახ, დიახ, თქვენო უმაღლესობავ...

შებლავლეს გენერლებმა.

— ახლავე ჩამოიღეთ რეიხსკანცლერის პორტრეტი. აქ მე, მთავარსარდალი ვარ... გესმით, მთავარსარდალი...

— გვესმის, თქვენო უმაღლესობავ, გვესმის. — იღრიალა დარბაზმა.

გენერლები ერთმანეთს ეცილებოდნენ ერთერთი პორტრეტის ჩამოღებაში, მაგრამ სწორედ იმ მომენტში, როცა კედლებიდან პორტრეტები ჩამოჰქონდათ, გაისმა ფიურერის ბრძანება:

— შეჩერდით, მე ვბრძანე რეიხსკანცლერის პორტრეტის ჩამოღება, თქვენ კი...

ყველანი შეჩერდნენ, გაქვავდნენ.

არც ერთმა მათგანმა არ იცოდა, რომელი იყო რეიხსკანცლერისა და რომელი მთავარსარდალის პორტრეტი.

— აი, ხომ ხედავთ, თქვენ ბრიყვებო, თქვენა, — სად გამოჩნდა თქვენი შვიი გული... თქვენ არც კი იცით, რომელია მავათ შორის მთავარსარდალის პორტრეტი. მანძისადამე, მე თქვენ არ მცნობთ, როგორც მთავარსარდალს! მე თქვენ... ბრძანა ფიურერმა და ამ დამუქრების შემდეგ სხდომა დამთავრებულად გამოაცხადა.



ნახ. ღონისა



— შენს ათეულს რა დაემართა?
 — წინ წავიდნენ, ვერ შევაკავე.
 — უტვირთვ, შეტევაზე გადასულან და
 რად უნდა შეგკავებინა?
 — არა, ბატონო ოფიცერო, შეტევაზე კი
 არა, ტყვედ დანებდნენ წითლებს.

ქვეყნის უკანონო

ნახ. ს. ნადარეშვილისა



— ზაფხული მოდის, გული ცუდს მეუბნე-
 ბა. 1918 წელსაც ამ ქვეყნიდან სწორედ ზაფ-
 ხულში გავიქეცი.

„იმის შიშით, რომ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე არ
 მოუწიოთ წასვლა, გავლენიან ფაშისტების შენობა-ნაგებობებში
 ეწყობიან ზურგის საინტენდენტოს მოხელეებზე, ვადე მოხელეებს
 გერმანელი ხალხი მეტსახელად „ვირთაგვებს“ უწოდებენ“.

ფრიც უნდილბერგი ახალი ჯვარწერილი იყო, როცა ჯარში გაიწვიეს. მის ოჯახში ჩოჩქოლი ჩა
 ვარდა:

დედამისი ბერტა ქვითქვითებდა, მამა ოხრავდა, ცოლი — ახალგაზრდა ქერა ელზა — თვალცრემლია-
 ნი დაფუსფუსებდა კუთხიდან კუთხეში და ხელების ფშვინებით რაღაცა გეგმებს ადგენდა.

თვით ფრიციც დიდ საგონებელში იყო: კაცმა რომ თქვას, ამისა საბაბი ჰქონდა ფრიცს — ბერლი-
 ნელ მელოდეს შვილს, რომელიც ობივაციელურ ნებ იგრობას დაჩვეულიყო და რაც მთავარია, საკმაოდ
 მხდალ და უხერხემლო ახალგაზრდად თვლებოდა მთელს უბანში. ამას დაუმატებოდა ლურჯთვალეობა,
 ქერა ელზას სახლში დატოვება და მრავალი ისეთი რამ, რაც საერთოდ, თან სდევს ჯარში ყოფნას —
 ომის დროს.

ერთის სიტყვით, ცრემლები დაპა-ღუპით იღვრებოდა უნდილბერგების ოჯახში.
 მართალია, ფრიცი კუზიანი იყო, ცოტაოდნად ელაპრო, ცოტაოდნად კოკილიც — ესე იგი ცალი ფეხი
 გაშეშებული ჰქონდა და ისიც გარკვეული იყო, რომ მას ჰგავნიდნენ საფრანგეთში, საოკუპაციო ჯარის
 შესავსებად განკუთვნილ ნაწილში. მაგრამ ეს მაინც არ ამცირებდა საფრთხეს.

— ვინ იცის, — ფიქრობდა ფრიცი, — ხანამ საფრანგეთში ჩავალთ, საბჭოთა კავშირის ფრონტზე
 უკვე გათხელდება ჩვენი ჯარები, მათ შესავსებათ საჭირო მარაგი მუსოლინს, ანტონესუსს და ბარდო-
 შის საჭირო მარაგი გამოეღლიათ, აიღებენ და ისევ ჩვენ გვიტარებენ თავს რუსეთისაკენ. განა ცოტანი
 არიან ჩვენს ჯარში მასინჯები და ინვალიდები? მეც იქ მიმაყოლებენ. ფიქრის ამ ნაწილზე ფრიცს ში-
 შით აურჟოლებდა და ცივ ოფლს ასხამდა საფეთქლებზე.

— მე შენ გეტყვი და უკანვე დაბრუნდები იქიდან, — განაგრძობდა ფიქრს ფრიცი, — წითელ არ-
 მის ღარტყმებს, შიმშილს, ტილებს, ტიფს, რომელ ერთს გაუძლებ ფრიც უნდილბერგ? — ეკითხებოდა
 იგი თავის თავს.

— იცი რა გითხრა ფრიცი? — შეაწყვეტინა ფიქრი ელზამ.
 — რა?
 — როგორმე მოახერხე, რომ ვახდე ვირთაგვა?
 — რა?
 — ვახდე ვირთაგვა, — მაშინ, ცხადია აქვე, ბერლინშივე დაგტოვებენ:
 — ფრიცმა უიმედოდ ჩაიქნია ხელი?
 — ეხ, ელზა, ბავშვი ყოფილხარ, — ვირთაგვობას ვინ გაღირსებს, როცა ყველა ვირთაგვას ადგილი
 დაქერილი აქვთ?
 — ვის?
 — ვის და გამოჩენილ ფაშისტების შვილებს. ისინი ხომ ფრონტზე არ მიდიან. დაურეკავენ შტაბ-
 ში, ან წერილს მიუტანენ და მეორე დღეს უკვე ვირთაგვები ხდებიან. გულმოსაკლავი ის არის, რომ
 ისინი ვირთაგვების გილოდობასაც ღებულობენ, ბევრს უკვე რკინის ჯვარი აქვს, საწყალი გერმანია, —
 ჰყიდიან, პირდაპირ ჰყიდიან!

— რა შვილებო, რა სთქვით? — შეეკითხა ცოლქმარს ბერტა, რომელმაც ცრემლიანი თვალები
 მოიწმინდა, — ვირთაგვაზე ლაპარაკობდით? სად ჰყიდიან ვირთაგვას? — ამბობენ მშვენიერი პასუხები
 კეთდება — ვირთაგვებისაგან.

— არა, დედა, ჩვენ სხვას ვამბობთ. — განუმარტა ბერტას ელზამ, — ჩვენ იმას ვამბობთ, იქნება
 მოვანერხოთ მეთქი, რომ ფრიცი ვირთაგვა ვახდეს.

— ო, ეს ერთადერთი ხსნა იქნებოდა ჩემო ძვირფასებო, უნდა ვეცადოთ: ფრაუ დორა ჭლრსონი
 დაგვემარება, ჩვენი ნათესავია, თავის მხრივ მას გავლენიანი ნათესავი ჰყავს შტაბში.

ამ იდეამ უცბად გადაყარა უნდილბერგების ოჯახზე გადაგრაგნილი სევდის ღრუბლები, დაამი-
 და, გაახარა ყველა. მართლაც მშვენიერი იდეა აღმოჩნდა, მეორე დღეს ფრიც უნდილბერგი ვირთაგვების
 შტაბში ჩარიცხეს, — ესე იგი საოკუპაციო არმიის ერთ-ერთი მომარაგების ინტენდენტად დანიშნეს.
 ერთად-ერთი საწყენი შედეგი ამ წარჩინებისა მხოლოდ ის იყო, რომ თვით გერმანიაში ვირთაგვას ყვე-
 ლა ადგილი დაკავებული აღმოჩნდა ცნობილი ფაშისტების შვილების მიერ და ფრიცს უწევდა ეს კა-
 რიერა დროებით საფრანგეთში დაეწყო.

— გდმოგვიყვანენ, ძვირფასო, — ეუბნებოდა, — მას გაცილებისას ფრაუ დორა ჭლრსონი; გარწმუნებ
 მალე გადმოგვიყვანენ საფრანგეთიდან, იმედი იქონიე.

ამ იმედით გააცილეს უნდილბერგებმა ფრიცი, რომელსაც თვალცრემლიანი ქერა ელზა დაბეჯითე-
 ბით ავალებდა თავს გაფრთხილებოდა და წერილები ხშირად ეგზავნა მისთვის.

ფრიცი ასრულებდა ელზას თხოვნას — თავს უფრთხილდებოდა, — და წერილებს უგზავნიდა; ჯერ
 საფრანგეთიდან, შემდეგ პოლონეთიდან და ერთ მშვენიერ დღეს კი „პირიმის ფრონტიდან“ მიიღო ელზამ
 დაქმუნულ-დალაქული ფარატინი, რომელიც ძლივს გააჩრია.

— ძვირფასო ელზო, — სწერდა უნდილბერგი თავის ქერა მეუღლეს, — გამართლდა ყველაზე საში-
 ნელი შიში: მეც საბჭოთა კავშირის ფრონტზე გამგზავნეს. ტყუილი აღმოჩნდა დაპირება ჩემი ვირთაგ-
 ვად დანიშნისა. მოგვხვებეს ყველანი და გამოგვრეკეს, როგორც საზარბაზნე ხორცი. მაღლობა ღმერთს,
 ჯერ ცოცხალი ვარ და სხვა არიებლებთან ერთად. ვასრულებ ფიურერის ჯარისკაცის საქმეს — ესე იგი
 ვშიშნობო, ვიტან წითლების მიერ საშინელ დარტყმებს, თავს ვუფრთხილდები, ვოცნებობ შენზე
 და ვსოცავ მკენარებს. ჩემი თხოვნაა, ძვირფასო ელზო, მოახერხეთ, რომ ვირთაგვად გავხდე“.

ქერა ელზამ დიდხანს იტორა. ხელები დიდხანს იმტვრია და დიდხანს ემუდარა მასზე უკვე მიმაგ-
 რებულ მოიერიშეს, რომელიც პოლკოვნიკის ჩინით დადიოდა, და ბოლოს მიადწია კიდევ იმას, რომ
 ფრიც უნდილბერგი ვირთაგვას თანამდებობაზე დანიშნეს — მიუხედავად.

რა თქმა უნდა, აქ შეიძლებოდა ჩვენი მოახრობის დამთავრებაც, მაგრამ ერთმა გარემოებამ გვა-
 ფიქრებინა პოლონეთში მივეყოლოდით ფრიცის ცხოვრებას, ბოლო კი ვახდელათ ჩვეულებრივი, როგორც
 არის და იქნება ბოლო ყველა ოკუპანტისა, რომელმაც საბჭოთა წმინდა მიწაზე დასდგა ფეხი, როგორც
 დამპყრობელი.


როცა უნდილბერგის ნაწილში ქერა ელზას უკანასკნელი წერილი მივიდა, ფრიცი უკვე ამ ქვე-
 ყანას აღარ ეკუთვნოდა. წითელი არმიის მედგარი შეტევის დროს, ერთერთ მამაც საბჭოთა პატ-
 რიოტს, — ისიც ხიშტით გავემირა თხრილშივე, სადაც იგი დიდხანს ეგლო კუთხეში მიკრუნჩხული, და
 ისრწნებოდა როგორც გაგუდული ნამდვილი ვირთაგვა.

ჩვენი წითელი არმიისგან დარტყმით გერმანელთა მე-16 არმიის გარემოცვა და დაპყრობის რეალური თანდათან ვიწროვდება.



გერმანელი ტყვე ჯარისკაცი ვალტერი არა თუ არ დარდობდა თავის ტყვედ ჩაგარდნას, კიდევ უხაროდა. ის მუდამ კარგ გუნებაზე იყო. ერთხანს ჩვენი წითელარმიელები ეჭვის თვალთაც უცქეროდნენ ტყვე გერმანელის მომღიმარე სახეს. მაგრამ როცა დარწმუნდნენ, რომ ვალტერი არა სტყუოდა, დაუმეგობრდნენ კიდევ.

ნახ. დონისა



— ჰე, ჰანს, მამაშენი 1918 წელს ფრონტიდან გაიქცა. ჰანსი: — მართალია, მაგრამ ჩვენ ვინ მოგვაშავებს მაგ ბედნიერებას?

ერთ დღეს მან მოიკითხა ჩვენი წითელარმიელი:


- როგორა ხარ ამხანაგო?
- მადლობა ღმერთს, არა მიშავს! — უპასუხა წითელარმიელმა.
- განა თქვენ — წითელარმიელებს ღმერთი გწამთ?
- არა, მაგრამ... ეგ სიტყვა ზოგჯერ მაინც იხმარება ტრადიციულად, საუბრის დროს. თქვენ... თქვენი ჯარისკაცები როგორ უპასუხებთ ხოლმე კითხვაზე: „როგორა ხარ?“
- ჩვენ ასეთ შემთხვევაში გვაგალებენ ვეუპასუხოთ: „მადლობა ჰიტლერს!“
- მაგრამ როცა ჰიტლერი მოკვდება, მაშინ რაღას იტყვი?
- მაშინ... აი მაშინ ვიტყვი: „მადლობა ღმერთს!“

8. ვეუპასუხოთ

გერმანიის მსახურნი

ნახ. ი. ვანფისა

„კროკოდლიდან“



ჰიტლერი: დაიხსოვით პატივცემულნი, რომ ჩემს მიერ შემუშავებულ ახალი წესრიგის თანახმად, მე კი არ გაძლევთ ჯამაგირს და საჩუქარს — არამედ თქვენ გაძლევთ მე.

- ამბობენ...
- რას ამბობენ?
- ამბობენ, სომ...

პანოვერელ ულას; ფეხებ მოყინულ ეფრეიტორ ჰანსს ამ სიტყვებზე გააუჩქარა. ფაშისტურ კაპარ-დიანი ქული თვალზე ჩამოიფხატა, ლოდებით მო-ხერგილი ეკლესიის ეზო-ში წაყარა თვალებით მო-ათვალიერა — გესტაპოელი ხომ არ გვითვალთვა-ლებსო, შემდეგ გულდანდობილად ისევ სკოლის მე-გობრის ლიბაწვილივით დიტრისასაკენ კისერი მამლაყინწასავით წაიგრძელა...

ისინი ლუბლინის გარეუბნის ერთერთი ეკლესიის ეზოში საფლავის ლოდზე ისხდნენ... ისხდნენ და შემფოთებით სდუმდნენ. წითელი არმიის მიერ გა-ნადგურებულ მათ ნაწილებში ვინც კი გადარჩა, მოსვენება აღარ უნახავს, თვით ფრიცსა და მელუ-დეს შვილ ზუმბერგს, რაც ამ ჰოსპიტალში შეხვ-დნენ ერთმანეთს, ძილს უფროხობდა წითლების შე-მოკრის ან პარტიზანების თავდასხმის შიში.

და აი, მათ ყურამდე მიადგო პოლონეთის ქალაქ როზენდუფის რაიონში მოქმედი პარტიზანთა ქვემე-ხების გრაილმა. მერე ვინ არიან ისინი?

— ამბობენ... წყნარად იწყებს საფლავის ლოდზე პოეტური ზუმბერგი... — ამბობენ, რომ...

ზუმბერგი კვლავ ცდილობს დუმილით ჩაჰკლას გულში დაგუბებული ბოლმა, მაგრამ არ ძალუძს... და აღელვებული განაგრძობს:

— ამბობენ, რომ ისინი ფრონტიდან გამოქცეული გერმანელი ჯარისკაცები არიანო...

ჰანსს ცივმა ოფლმა დაასხა.

— რომელ პარტიზანს უნდა გადაურჩეთ! საბერძ-ნეთი, ნორვეგია, სამხრეთ სლავია, ჩვენი სისხლით დაპყრობილი ყველა ქვეყანა პარტიზანებმა მოიც-ვეს—ჰანს!

ზუმბერგის ეს სიტყვები საწამლავით ეწვეთე-ბოდა ყურებში ჰანსს, მას ელანდებოდა ხელბაწვ-ლილი ბაეშეების, პატივანდელი ქალების გვაძები, სისხლით მორწყული მინდორები...

— რას ამბობს ზუმბერგი! შურს იძიებენ, გესმის, შურს იძიებენ! კატასავით დაიხავლა ჰანსმა და თავი ჩაქინდა.

— შურს იძიებენ, მაშ რა იქნება!

ზუმბერგმა სიტყვა არ დაამთვრა და მწარე ფიქ-რებით გატაცებულ ჰანსს შეხედა.

ჰანსი თავის თავს ებრძოდა, გმინავდა...

— მაგრამ ეს ყველაფერი ჩვენ შინაურ არ გვეხება, რადგან ამაზე ფიქრები ფიქრობს ზუმბერგი, ფიქ-რები, ხომ გესმის!

— არა, არ დაიჯერო, ჰანს! ეს სულ ტყუილია! ამაზე ჩვენ უნდა ვიფიქროთ! — შეაწყვეტიბა ზუმ-ბერგმა.

ორივე ნადვილით გულშემოყრილი მობუზული ისხდნენ.

სამარისებურმა სიჩუმემ დაისადგურა და კვლავ გაისმა ზუმბერგის ხმა:

- ამბობენ...
- რას ამბობენ?
- კაპუტ — მესამე იმპერია!
- კაპუტ — ფიურერი!

ლ. არაგვიძე

გ ა შ ი რ ვ ე ბ ა

„გერმანიის საინფორმაციო ბიურო აცხადებდა, რომ წითელ არმიას არა აქვს ტანსაცმელი და ის ძონძებში დაის.“

„გაზეთი „ჰამბურგერს ფრეიდბლანტ“ სწერდა: „ბოლშევიკური ჯარები უმეტესად ბევრად უფრო კარგად იყვნენ ჩაცმულნი და აღჭურვილნი ზამთრის პირობებში საბრძოლველად, ვინემ მათი გერმანელი მოწინააღმდეგენი.“

ნან. მ. ვაღბოლსკისა



— გერმანელი მოძალაძე — რა უბე-ღურება! ვის დაუფერო!



— რა უბირო ვინმე ყოფილა ეს ჩვენი ლავალი, როგორ აშკარად დალატობს საფ-რანგეთის ხალხს.

— რას ამბობ, უბირო კი არა, სამპირთვანია: ერთი, როგორც საგარეო საქმეთა მი-ნისტრი, მეორე როგორც შინაგან საქმეთა მინისტრი და მესამე, როგორც ინფორმაციის მინისტრი, მთავრობის „თავმჯდომარეობასაც“ თუ სათვალავში არ მივიღებთ.

ფრონტის გაუთავიდან

კარგი პარიკმახერი

- ჩვენი ასეულის ახალი პარიკმახერი კარგად მუშაობს.
- კარგად პარსავს?
- მერე როგორ! გუშინ როგორც კი ამოიხედა ჰანსმა მიწურიდან, იმ წუთშივე წაადგინა თავი. („სამშობლოს სადარჯრო“)

ფრიცმა ისახელა თავი

ხმა გერმანელთა სანზრიდან — ფრიც, რა ვაღრიალებს ასე მწარეთ? ხმა საბჭოთა კავშირის მხრიდან — რუსი მეავტომატე დავიჭირე. პირველი ხმა — რაღას უდგებარ, მოიყვანე აქეთ ჩქარა! მმორკი ხმა — არ შემოძლია: ის მე არ მიშვებს!

(„გაგანადგურეთ მხერი“)

ფუსტი პასუსი

- აბელ მითხარი: რა განხვავდება კაიზერსა და ფიურერს შორის?
- პირველი გააქვეს და მეორეს კი ჩამოახრჩობენ, ბატონო მასწავლებლო.

გერმანელ ჯარისკაცთა ჩვეულებრივი საუბრიდან

- ფიურერი შეგვიბრდა, რომ სააღდგომოდ მოგვცემენ თითო ნაჭერ შაშხს.
- საიდან იცის მან, რა საქმელს იძლევიან საიქიოში.

(„მაგაულისფილი“)

ნახ. გ. ლომიძისა



— რას წვალთვს ფიურერი?
 — ძველი ხელობა გაიხსენა, როგორც მდებავმა.
 — ?
 — მისი რეკლამის ის ადგილი, სადაც ყოველ სეზონში შეტყვის დაწუებას გვბირდებოდა, მთლიანად გახუნდა და ახალ საღებავს უსვამს, რომ ხალხს თვალები მაინც აუჭრელოს.